გამოცდაზე მოქცევის წესები:

- არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი, გარდა სახაზავისა და იმ ნივთებისა, რომლებიც ნებადართულია. წყალი პლასტმასის ბოთლით შეგიძლიათ დადგათ იატაკზე;
- პასუხების ფურცელს დაკვირვებით გადახედეთ მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ის დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი პასუხების ფურცლის მიღებაზე (ხარვეზიანი პასუხების ფურცელი შეიცვლება);
- გამოცდის დაწყებამდე სარეგისტრაციო ბარათზე ამოიწერეთ პასუხების ფურცლის კოდი და შეინახეთ, რათა შეძლოთ ნაშრომის ნახვა სკოლის ვებგვერდზე;
- მეთვალყურეს შეგიძლიათ მიმართოთ მხოლოდ ხელის აწევით;
- ტესტზე მუშაობის დაწყება შეგიძლიათ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეთვალყურე გასცემს მითითებას და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;
- პასუხების ფურცელზე სწორი პასუხი უნდა აღნიშნოთ X სიმბოლოთი;
- არ შეიძლება პასუხების ფურცლის გაკეცვა!
- შავი სამუშაოსათვის განკუთვნილი რვეული, პასუხების ფურცელთან ერთად უნდა ჩააბაროთ მეთვალყურეს მუშაობის დასრულებისას;
- თუ დროზე ადრე დაასრულებთ მუშაობას, ხელის აწევით ანიშნებთ მეთვალყურეს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის ბუკლეტს, პასუხების ფურცელს და შავი სამუშაოს რვეულს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებთ სექტორს.
- საგამოცდო დრო არავის დაემატება;
- გაფრთხილებას მიიღებთ შემდეგ შემთხვევებში:
  - ✓ მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა;
  - ✓ გამოცდის პროცესის დროს საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება ან რაიმე ფორმით ერთმანეთის დახმარების მცდელობა;
  - ✓ მეთვალყურის მითითებამდე ტესტზე მუშაობის დაწყება;
  - ✓ საგამოცდო დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელება;
  - ✓ სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება;
  - ✓ ნებადართული ნივთების გარდა სამუშაო მაგიდაზე სხვა ნივთების აღმოჩენა;
  - ✓ რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;
  - ✓ დამხმარე მასალის გამოყენების ან აღმოჩენის შემთხვევაში;
  - ✓ წესრიგის უხეში დარღვევის, აგრეთვე საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან ამის მსგავს შემთხვევაში.

ერთი გაფრთხილების შემდეგ, იმავე ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან.

მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს (მათ შორის საათის) გამოცდაზე შეტანისა და მათი თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში გაფრთხილების გარეშე მოიხსნებით გამოცდიდან.